

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები

პროგრამაზე პირის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება პროგრამით, რომელიც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს და არსებობის შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

2. ჩარიცხვის პროცედურა

1. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული ტესტირების გავლის გზით ან პროფესიული ტესტირების გავლის გარეშე;
2. პროფესიული ტესტირებით ჩარიცხვა წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსების წინაპირობას;
3. პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება ამ წესითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

3. პროფესიული ტესტირების გარეშე ჩარიცხვა კონკურსის შემთხვევაში

1. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აპლიკანტი კოლეჯში ირიცხება შერჩევის საფუძველზე, რომელიც ტარდება დანესებულების მიერ განსაზღვრული შერჩევის წესით;
2. შერჩევის ფორმაა გასაუბრება;
3. გასაუბრებას ატარებს დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესარჩევი კომისია;
4. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კანდიდატის შეფასების ფურცლებში ასახული შედეგების დაჯამების საფუძველზე.

4. პროგრამაზე დაშვება

1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. საქართველოს მოქალაქეების მიერ პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- კოლეჯის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებული ფორმა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი);
- უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში: განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ორი ფოტოსურათი 3x4;
- არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მონმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მონმობა / მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).

6. არაქართულენოვანი პირის მიერ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში

პირმა უნდა წარმოადგინოს ქართული ენის პროგრამის გავლის დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის არ არსებობისას პირს უტარდება გამოცდა/ტესტირება ქართული ენის ფლობის დასადგენად. პირის მიერ ქართული ენის ფლობის დონის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ის სწავლას იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის ქართული ენის მოდულით.